ხელშეკრულება №9

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

(საქონლის შესყიდვა)

ქ. ბაღდათი "-26-" -იანვარი -" 2017 წ

ერთის მხრივ, ა(ა)იპ სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება, ქ. ბაღდათი კახიანის ქ. №43 (შემდგომში შემსყიდველი), დირექტორის ნინო გრძელიძის სახით და მეორეს მხრივ შპს „იობი"-ს ხელმძღვანელი დათო ჯინჭარაძე (შემდგომში მიმწოდებელი), ვხელმძღვალელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია: საკვები პროდუქტის სხვადასხვა საკვები პროდუქტის შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის გზით SPA170000695.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1. **სხვადასხვა საკვები პროდუქტი** CPV (15800000) კოდით.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში 23430 (ოცდასამიათასოთხასოცდაათი) ლარი და 00 თეთრი, დღგ-ს გათვალისწინებით.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს.

4.2. ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

4.2.1. საქონლის მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

4.2.2. შესაბამისი შემოწმების აქტის საფუძველზე მიწოდებული საქონლის ან/და მისი ნაწილისხარისხის ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.

4.2.3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებზე კონტროლის განხორციელება, მიმწოდებელთან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

4.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებენ სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების სატენდერო კომისია.

5. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

5.1 შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პირობები, ერთეულის ფასი, საერთო ღირებულება მოცემულია ხელშეკრულების დანართში №1 (ტექნიკური პარამეტრები)

6. საქონლის მიწოდების პირობები

6.1. საქონლის მიწოდების ადგილია ბაღდათის ა.(ა).ი.პ სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების 15 საბავშვო ბაგა–ბაღში, ეტაპობრივად, თვეში ორჯერ.

6.2. საქონლის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2017 წლის 31 დეკემბრამდე.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება ხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისად.

7.2. იმ შემთხვევაში თუ, მიწოდებული საქონელი შეესაბამება ხელშეკრულების დანართი №1-ით (ტექნიკური პარამეტრები) გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ახორციელებს მიწოდებული საქონლის მიღებას, ხოლო თუ, საქონლის მიწოდების პროცესში გამოვლინდება, რომ საქონელი არ აკმაყოფილებს ხელშეკრულების დანართი №1-ით (ტექნიკური პარამეტრები) გათვალისწინებულ მოთხოვნებს შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს ნაკლოვანი საქონელი და დაუბრუნოს იგი მიმწოდებელს მიმწოდებლის ხარჯით.

7.3. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების 7.2. პუნქტის საფუძველზე არ განხორციელდა საქონლის მიღება, მიმწოდებელი ვალდებულია 3 (სამი) დღის ვადაში უზრუნველყოს ნაკლოვანი საქონლის შეცვლა სათანადო ხარისხის საქონლით, ხოლო აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების 13.1. პუნქტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

7.4 მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს საქონლის მიწოდებისას მიღება-ჩაბარების აქტი, სასაქონლო ზედნადებები ან/და საგადასახადო ანგარიშფაქტურა.

7.5. ხელშეკრულების 7.4. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს შემდეგ მისამართზე: ქ. ბაღდათი, კახიანის ქ. #43 – სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება.

8. ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის ღირებულების შესაბამისად.

8.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

8.3. ანგარიშსწორება მოხდება საქონლის მიწოდების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღეში.

9. მხარეთა ვალდებულებები

9.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

9.1.1. მიაწოდოს „შემსყიდველს“ უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი;

9.1.2. „შემსყიდველს“ მიაწოდოს საქონელი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა;

9.1.3. უზრუნველყოს ნაკლოვანი საქონლის შეცვლა 3 (სამი) დღის ვადაში;

9.1.4. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

9.1.5.დროულად განიხილოს `შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

9.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

9.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის'' დროული და სრული დაფინანსება;

9.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

9.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

10. მხარეთა უფლება

10.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

10.1.1.ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

10.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

10.2.1. აწარმოოს მიწოდებული პროდუქციის ხარისხისა და რაოდენობის კონტროლი;

10.2.2.. განაცხადოს უარი უხარისხო საქონლის მიღებაზე.

11. ფორს-მაჟორი

11.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს- მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

12.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

12.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

12.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

12.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

13.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

14. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

14.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

15. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

15.1. ფორსმაჟორული პირობების გარდა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების, მათ შორის ,,ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1 % –ის ოდენობით.

15.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების ან შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება, ამ შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმა სახელშეკრულებო ღირებულების 10% –ის ოდენობით.

15.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების თვითნებურად შეწყვეტის შემთხვევაში, დაეკისრება ჯარიმა სახელშეკრულებო ღირებულების 10% –ის ოდენობით.

15.4. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის, მიმწოდებლის დაჯარიმების შემთხვევაში შემსყიდველი იტოვებს უფლებას ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ასანაზღაურებელი თანხიდან საჯარიმო სანქციების თანხა პირდაპირ გადარიცხოს არასაგადასახადო ანგარიშსწორების ანგარიშზე სახელმწიფო ხაზინაში.

15.5. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულები შესრულებისადმი.

16. ხელშეკრულების შეწყვეტა

16.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

16.1.1. მხარეთა შეთანხმებით;

16.1.2. ერთი მხარის მიერ 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის;

16.1.3. ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, მეორე მხარის წერილობითი გაფრთხილებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში;

16.1.4. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

17.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2018 წლის 31 იანვრამდე.

18. განსაკუთრებული პირობები

18.1. ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს;

18.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება ,,მიმწოდებელთან", მეორე ეგზემპლარი ,,შემსყიდველთან''

მიმწოდებელი:	შემსყიდველი:
შპს ,,იობი"	ა.(ა).ი.პ. ბაღდათის სკოლამდელი
ქუთაისი, ირ. აბაშიძის გამზ. ბ. 33	სააღმზრდელო დაწესებულება
ს/კ 412704220	საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანება
ა/ა GE52TB7875536080100003	ქ. ბაღდათი, კახიანის ქ. №43
ბანკის კოდი: TBCBGE22	ს.კ. 225066932
სს ,,თიბისი ბანკი"	ლიბერთი ბანკის ბაღდათის ფილ.
ხელმძღვანელი: /დ. ჯინჭარაძე/	ორგანიზაციული სახაზინო კოდი: 0401
	მფო: 220101458
	დირექტორი: /ნ. გრძელიძე/

დანართი №1

ფასების ცხრილი

შპს "ოობი" (ს/ნ 412704220)

შესყიდვის ობიექტი	შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები; ტექნიკური და ხარისხობრივი აღწერა	წარმოშობის ქვეყანა, მიდგილი, კომპანი	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება
1	2	3	4	5	6	7
შაქარი	უმაღლესი ხარისხის, ფერი-თეთრი ან მოყვითალო; კრისტალური, ფხვიერი, მშრალი, მინარევების გარეშე, უცხო გემის გარეშე; დაფასოებული ქარხნული წესით 5-10 კილოგრამიან ტომრებში, კანონმდებლობით გათვალისწინებული ეტიკეტირებით, ვარგისიანობის ვადის მითითებით.	წარმოშვების ქვეყანა საქართველო, ბრაზილია, უკრაინა. შპს "აგარისშაქრის კომპანია"	კგ	2775	2.00	5550.00
კაკაო	უმაღლესი ნატურალური კაკაოს ფხვნილი, საკვები დანამატებისა და სხვა მცენარეული მინარევების გარეშე, არაალკალიზირებული, ცხიმის რაოდენობა უნდა იყოს არანაკლებ 15 %-სა. სტრუქტურა ერთგვაროვანი. პუდრივით წმინდა, კონსისტენცია ფხვიერი, მშრალი ფერი მოყავისფრო, პროდუქტისატვის დამახასიათებელი სუნითა და გემოთი.	რუსეთი, ჩინეთი , გერმანია. . მოსკოვი შპს "უნიკოპ"	კგ	154	10.00	1540.00
ჩაი	უმაღლესი ხარისხის, კონსისტენცია მშრალი, ფხვიერი, ფერი მოყავისფრო, დაფასოებული უნდა იყოს 0,1-5 კგ-იან ყუთებში ან პაკეტებში; უცხო ნაწილაკებისა და მინარევების გარეშე; საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი ეტიკეტირებით, ვარგისიანობის ვადის, შენახვის პირობების და შემადგენლობის მითითებით.	საქართველო თურქეთი. რნგული შპს "გეოპლანტი"	კგ	130	7.50	975.00
მარილი	მაღალი ხარისხის; იოდიზირებული; უცხო ნაწილაკებისა და მინარევების გარეშე; მშრალი,დაფასოებული უნდა იყოს 0,5-1 კგ-იან ყუთებში ან საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი ეტიკეტირებით, ვარგისიანობის ვადის, შენახვის პირობების და შემადგენლობის მითითებით.	წარმოშვების ქვეყანა უკრაინა,დონეცკის ოლქი, შპს"ARTEMSOL"	კგ	505	1.00	505.00
მაკარონი	უმაღლესი ხარისხის, ფიგურული ფორმის, ქარხნული წარმოების, დამზადებული უმაღლესი ხარისხის ხორბლის ფქვილისაგან, ფერი მოყვითალო, სუნი ნესტისა და ობის გარეშე, დაუტეხავი, დაფასოებული ქარხნული წესით 5-10 კგ-იან შეფუთვაში, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი ეტიკეტირებით, ვარგისიანობის ვადის, შენახვის	წარმოშვების ქვეყანა საქართველო, უკრაინა, აზერბაიჯანი.საქართველო შპს "ლუქსი" აზერბაიჯანი შპს	კგ	1547	2.00	3094.00

ვერძიშელი	უმაღლესი ხარისხის, ქარხნული წარმოების, დამზადებული უმაღლესი ხარისხის ხორბლის ფქვილისაგან, ფერი მოყვითალო, სუნი ნესტისა და ობის გარეშე, დაუტენავი, დაფასოებული ქარხნული წესით 5-10 კგ-იან შეფუთვაში, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი იტიკეტირებით, ვარგისიანობის ვადის, შინახვის პირობების და	წარმოების ქვეყანა საქართველო, უკრაინა, აზერბაიჯანი.საქართველო შპს "ლუქსი" აზიზბაიანი.შპს	კგ	1050	2.00	2100.00
პერნია	უმაღლესი ხარისხის, ქარხნული წარმოების, ძმრალი, სუნი ნესტისა და ობის გარეშე, დაფასოებული ქარხნული ვაკუუმ პაკეტებში, მინიმუნებული უნდა იყოს შემადგენლობა, დამზადებისა და შინახვის ვადა, ერთი ცალი არანაკლებ 20	რუსეთი, საქართველო.	კგ	1008	5.35	5392.50
ეიფელი	ნესტისა და ობის გარეშე, მინიმნებული უნდა იყოს შემადგენლობა, დამზადებისა და შენახვის ვადა. ერთი ცალი არანაკლებ 25 გრამიანი.	რუსეთი, საქართველო.	კგ	777	5.50	4273.50
ჯამი						23430.00

შპს "იოანი" (ს/ნ 412704220)
დირექტორი:

/დათო ჯინჭარაძე/